



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

ოთარ აბაშიძე

საავტომობილო გზის საცვეთი ფენის
სატრანსპორტო-საექსპლუატაციო
თვისებების გაუმჯობესება სლარი ტიპის
ნარეგების გამოყენებით

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა მშენებლობა

შიფრი 0732

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი სამშენებლო

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ოთარ აბაშიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „საავტომობილო გზის საცვეთი ფენის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება სლარი ტიპის ნარეგების გამოყენებით“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

15 ივნისი 2023 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თენგიზ პაპუაშვილი

რეცენზენტი: პროფესორი ალექსი ბურდულაძე

რეცენზენტი: აკ. დოქტორი ვახტანგ ჯღამაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2023 წ

ავტორი: ოთარ აბაშიძე

დასახელება : „საავტომობილო გზის საცვეთი ფენის სატრანსპორტო-საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება სლარი ტიპის ნარევების გამოყენებით“

სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი

სხდომა ჩატარდა 12. 07. 2023

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

ქვეყანაში მოქმედი საავტომობილო ქსელის მრავალი კილომეტრი დაფარულია კაპიტალური საფარით, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრთა და ტვირთთა ნაკადის შეუფერხებელ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას. საქართველოს საავტომობილო ქსელის მდგომარეობაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაზიანებების ყველაზე გავრცელებული სახეობები, როგორცაა გრძივი და განივი ბზარები, ხშირბადისებრი ბზარები, ბლოკური ბზარები, ნაკვალევი და ორმოები საფარის ზედაპირზე ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ საავტომობილო ქსელის დატვირთვების ზრდის გამო არსებული საფარები ვეღარ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს.

ქვეყანაში ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა საავტომობილო ქსელის ზრდასთან ერთად საგზაო ქსელის მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რაც გულისხმობს მისი საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუმჯობესებას და მისი ხანმედეგობის მაქსიმალურად გახანგრძლივებას, რათა თავიდან იქნას აცილებული კაპიტალური შეკეთებისათვის საჭირო დიდი დანახარჯები.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო გამოირჩევა რთული რელიეფით და გზებზე ხშირია დიდი ქანობები, ასფალტის საფარი ხშირად საანგარიშო ვადაზე ადრე გამოდის მწყობრიდან, რასაც ასეთ ადგილებში ხელს უწყობს დამუხრუჭების და დამკრის ძალები. რაც მეტად იზრდება ბზარები საფარზე, მით უფრო მეტად მცირდება უსაფრთხოდ გადაადგილების შანსები და იზრდება მოვლა-შენახვის სამუშაოების ღირებულება. ამიტომ საჭიროა გზების საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესება, რაც თავისთავად გულისხმობს დანახარჯების სიმცირეს და ეკონომიკური თუ ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვეულებისამებრ, ტრადიციული ზედაპირული დამუშავება, რომელიც ასეთ შემთხვევებში გამოიყენება, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის გადაჭრას, თუმცა მისი სამუშაო ვადა მხოლოდ 2-3 წლით შემოიფარგლება.

სწორედ ამ საკითხის გადასაწყვეტად ნაშრომში ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ტრადიციული ზედაპირული დამუშავების ანალოგი ტექნოლოგია - საცვეთი ფენის გაუმჯობესების გზა "სლარი სილის" ტიპის ნარევებით, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის ვადებს კაპიტალურ რემონტებს შორის და იქნება როგორც შედარებით ეკოლოგიურად სუფთა, ისე ეკონომიურად მომგებიანი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნაშრომში დამუშავებულია შემდეგი ძირითადი საკითხები:

საგზაო საფარების ცვეთის არსის განსაზღვრა და გამომწვევი მიზეზების დადგენა;

ტრადიციული ზედაპირული დამუშავების ჩანაცვლება "სლარი სილის" ტექნოლოგიით, მისი გამოყენების არეალის განსაზღვრით;

„სლარი სილის“ ნარევის ოპტიმალური შემადგენლობის დადგენა, მასში აპრობირებული შემავსებლის - ცემენტის ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა და მისი ჩანაცვლება ანალოგი მასალებით - დოროსოლით, დოროპორტით და კირით, ამის გათვალისწინებით კი ნარევის შემადგენლობის პროექტირება.

დამზადებული ნარევების გამოცდა სხვადასხვა მახასიათებლებზე ლაბორატორიულ პირობებში, არსებული საფარების მახასიათებლების დადგენა და მათთან შედარება;

საგზაო სამოსის კონსტრუქციის გაანგარიშება ახალი ტიპის ნარევისათვის და მისი შედარება ტრადიციულად გამოყენებად საცვეთ ფენებთან;

ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრა და შედარება ტრადიციულ სამუშაოებთან.

ჩატარებული ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სლარი სილის“ გამოყენება საფარის საცვეთი ფენების საექსპლუატაციო თვისებების გასაზრდელად მნიშვნელოვნად სჯობს იგივე სამუშაოს ტრადიციული ზედაპირული დამუშავების ტექნოლოგიის გამოყენებით.

ჩვენს მიერ ნაშრომში განხილული ნარევები საშუალებას მოგვცემს დავიცვათ უკვე არსებული ფენილები და ავამაღლოთ სწორედ ის ძირითადი მახასიათებლები, რასაც ფენილების ცვეთამდეგობა, წყალგაუმტარი ზედაპირის წამოქმნა და ა.შ. ჰქვია და ამით გავახანგრძლივოთ საექსპლუატაციო ვადები. ამასთან ერთად, გამომდინარე იქედან რომ კაპიტალურ რემონტებს შორის ვადის გასვლამდე მისი გამოყენება ორჯერ ნაკლებად გვიწევს, ვიდრე ტრადიციული ზედაპირული დამუშავების, მნიშვნელოვნად უმჯობესდება ეკოლოგიური გარემო.

იმის გათვალისწინებით, რომ ერთიდაიგივე საანგარიშო პერიოდში „სლარი სილის“ ტიპის ნარევებს ვიყენებთ ორჯერ, ხოლო ტრადიციულ ზედაპირულ დამუშავებას მინიმუმ 4-ჯერ, ეკონომიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია განსხვავება პერსპექტივაში ფასებს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სლარი სილის“ გამოყენებას აქვს მთელი რიგი უპირატესობები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც ფენილების ძირითად საექსპლუატაციო მაჩვენებლებს, მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოს დაბინძურების მაჩვენებელს და მომგებიანია ფინანსური კუთხითაც.

Abstract

The multi-kilometer road network operating in the country is covered with a capital coating, which ensures unhindered, safe and comfortable movement of passenger and cargo flows. Observing the condition of the Georgian road network, we can say that the most common types of injuries, such as longitudinal and transverse cracks, frequent cracks, block cracks, tracks and pits on the surface of the coating, are mainly caused by the fact that due to the increased loads on the road surface of the road network, existing coatings can no longer match requirements

One of the priorities in the country is to improve the condition of the road network along with the growth of the road network, which means improving its operational characteristics and maximizing the extension of service life in order to avoid large capital repair costs.

Due to the fact that Georgia is characterized by difficult terrain and large slopes are often found on the roads, asphalt pavement often fails before the reporting period, which is facilitated by braking and pushing forces in such places. The more cracks there are on the coating, the more the chances of safe movement decrease and the cost of maintenance work increases. Therefore, it is necessary to improve the operational properties of roads, which in itself implies the absence of costs and the improvement of economic and environmental conditions. As usual, traditional surface treatment, which is used in such cases, more or less provides a solution to the mentioned problem, although its service life is limited to 2-3 years.

To solve this problem, our article suggests an analogue of the traditional surface treatment technology - a way to improve the wear layer with mixtures of the "Slurry seal" type, which will minimize the time between major repairs and will be both relatively environmentally friendly and cost-effective.

Thus, the purpose of experimental and theoretical studies of this work was to consider the following issues:

- Determination of the nature of road surface wear and identification of the causes;

- Replacing the traditional surface treatment with the "Slurry seal" technology, determining the scope of its application;

- Determining the optimal composition of the "Slurry seal" mixture, determining the optimal amount of the tested filler - cement and replacing it with analog materials - dorosol, doroport and lime, taking this into account, designing the composition of the mixture.

- Testing of the manufactured mixture for various characteristics in the laboratory, limiting the characteristics of existing coatings and comparing them;

- Calculation of the construction of road clothes for a new type of mixture and its comparison with the traditionally used layers of underwear;

- Definition and comparison of economic indicators with traditional works.

Based on the conducted experimental and theoretical studies, we can say that the use of "Slurry seal" to improve the performance properties of the finishing layers of the coating is much better than similar work using traditional surface treatment technology.

The mixtures discussed in our article will allow us to protect existing layers and increase the main characteristics, which are the wear resistance of the layers, the creation of a waterproof surface, etc., thus we extend the service life. In addition, due to the fact that we have to use it twice less than with traditional surface treatment, before the expiration of the period between major repairs, the environmental situation is significantly improved.

Considering that during the same reporting period we used mixtures of the "Slurry seal" type twice, and traditional surface treatment - at least 4 times, from an economic point of view, the difference between prices is important in the future.

Based on the above, the use of "Slurry seal" has a number of advantages that will significantly improve the basic performance of the layers, significantly reduce the level of environmental pollution and are financially beneficial.

შინაარსი

შესავალი	13
1. ლიტერატურული მიმოხილვა	16
1.1. საავტომობილო გზების ქსელის არსებული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა	16
1.2. საცვეთი ფენის არსი და მისი როლი გზების საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესებაში	20
1.3. “სლარი სილის” ტიპის ნარევები და მათი გამოყენების სფეროები	24
1.4. ტრადიციული ზედაპირული დამუშავების ზოგადი ანალიზი და გამოყენების სფეროები	37
2. შედეგები და განსჯა	43
2.1. ცვეთის გამომწვევი პროცესები და მათი ზოგადი ანალიზი	43
2.2. “სლარი სილის” ნარევის კომპონენტების შემადგენლობების ლაბორატორიული ანალიზი	46
2.3. სლარი სილის ნარევის ოპტიმალური შემადგენლობის განსაზღვრა ლაბორატორიულ პირობებში	59
2.4. ასფალტბეტონის ცვეთასა და შეჭიდულობაზე გამოცდის მექანიზმი ლაბორატორიულ პირობებში	62
2.5. სლარი სილის ნარევების სამუშაო სისქის განსაზღვრა საექსპლუატაციო ვადების მიხედვით	69
2.6. “სლარი სილის” ნარევით აღდგენილი საფარის მაჩვენებლების შედარება ტრადიციული ტიპის ზედაპირულ დამუშავებასთან	73
2.7. “სლარი სილის” ნარევების გამოყენება აეროდრომების საფარებისათვის	91
2.8. “სლარი სილის” ნარევის ეკონომიკური შედარება ჩვეულებრივი ტიპის ზედაპირულ დამუშავებასთან	94
დასკვნა	99
გამოყენებული ლიტერატურა	101

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1.	ღორღის მასალის გრანულომეტრიული ცხრილი _____	53
ცხრილი 2.	ნარევი 1-ის შემადგენლობა _____	59
ცხრილი 3.	ნარევი 2-ის შემადგენლობა _____	60
ცხრილი 4.	ნარევი 3-ის შემადგენლობა _____	60
ცხრილი 5.	ნარევი 4-ის შემადგენლობა _____	61
ცხრილი 6.	საანგარიშო პარამეტრების მნიშვნელობები _____	70
ცხრილი 7.	ტრადიციული ერთფენიანი საფარის ღირებულება _____	94
ცხრილი 8.	ტრადიციული ერთფენიანი ზედაპირული დამუშავების ღირებულება _____	95
ცხრილი 9.	ცემენტის დანამატიანი “სლარი სილით” დამუშავების ღირებულება _____	95
ცხრილი 10.	კირის დანამატიანი “სლარი სილით” დამუშავების ღირებულება _____	96

ნახაზების ნუსხა

ნახაზი 1.	საფარის ზედაპირის ხშირბადისებრი დაზიანება _____	17
ნახაზი 2.	გრძივი ბზარები საფარის ზედაპირზე _____	17
ნახაზი 3.	განივი ბზარები საფარის ზედაპირზე _____	18
ნახაზი 4.	ბლოკური ბზარები საფარის ზედაპირზე _____	18
ნახაზი 5.	ნაკვალევი საფარის ზედაპირზე _____	19
ნახაზი 6.	ორმოები საფარის ზედაპირზე _____	19
ნახაზი 7.	“სლარი სილის” დამგები მანქანა-დანადგარი _____	27
ნახაზი 8.	“სლარი სილის” საფარზე დატანის მაგალითები _____	28
ნახაზი 9.	საფარის აღდგენა სლარი ნარევებით _____	30
ნახაზი 10.	მიკროსურფეისინგის ფენით მოწყობილი საფარი _____	31
ნახაზი 11.	ჩიპ სილით მოწყობილი საფარი _____	32
ნახაზი 12.	ტონფრიზით მოწყობილი საფარი _____	32
ნახაზი 13.	სპრეი ჯეტით მოწყობილი საფარი _____	33
ნახაზი 14.	ფიბ სილით მოწყობილი საფარი _____	34
ნახაზი 15.	ფოგ სილით მოწყობილი საფარი _____	34
ნახაზი 16.	სკრაბ სილით მოწყობილი საფარი _____	35
ნახაზი 17.	მაკ სილით მოწყობილი საფარი _____	35
ნახაზი 18.	ნოვაჩიპით საფარის მოწყობა ეკატერინბურგი-რეჟი- ალაპაევსკის გზაზე _____	36
ნახაზი 19.	ხარისხობრივი მაჩვენებლების ცხრილი _____	36
ნახაზი 20.	საფარის მოვლა ჩვეულებრივი ექსპლუატაციის პირობებში _____	44
ნახაზი 21.	დროული ზედაპირული დამუშავების ფაქტორი _____	45
ნახაზი 22.	ცვეთა ლოს-ანჯელესის დანადგარზე ცვეთის მაჩვენებლები _____	47
ნახაზი 23.	სიმტკიცე წნეხზე _____	48
ნახაზი 24.	ნემსისებრი და ფირფიტისებრი მარცვლების შემცველობა _____	49
ნახაზი 25.	დამტვრეული ნაწილაკების შემცველობა _____	50
ნახაზი 26.	მტვრისებრი და თიხისებრი ნაწილაკების შემცველობა _____	51
ნახაზი 27.	წყალშთანთქმის მაჩვენებელი _____	52
ნახაზი 28.	ღორღის ადჰეზიურობის შეფასება _____	52

ნახაზი 29.	ღორღის სიმტკიცის გამოცდა წნეხზე -----	53
ნახაზი 30.	გრანულომეტრიის გრაფიკი -----	54
ნახაზი 31.	ბიტუმის პენეტრაცია 0,1 მმ-ზე -----	55
ნახაზი 32.	ბიტუმის დარბილების ტემპერატურის მაჩვენებლები -----	55
ნახაზი 33.	ბიტუმის დუქტილების მაჩვენებლები -----	56
ნახაზი 34.	ბიტუმის სიმყიფის მაჩვენებლები -----	56
ნახაზი 35.	შემავსებლის ტიპები -----	57
ნახაზი 36.	თხევადი ლატექსი -----	58
ნახაზი 37.	პოლიპროპილენის ბოჭკო -----	58
ნახაზი 38.	„სლარი სილის“ ნიმუშების დამზადება-დაყალიბების პროცესი -----	61
ნახაზი 39.	ნიმუშის მომზადების პროცესი -----	62
ნახაზი 40.	ცემენტით დამზადებული ნარევის გამოცდა ჰამბურგის ბორბალზე -----	62
ნახაზი 41.	ღორღოვანი დამზადებული ნარევის გამოცდა ჰამბურგის ბორბალზე -----	63
ნახაზი 42.	ღორღოვანი დამზადებული ნარევის გამოცდა ჰამბურგის ბორბალზე -----	63
ნახაზი 43.	კირით დამზადებული ნარევის გამოცდა ჰამბურგის ბორბალზე -----	64
ნახაზი 44.	დამზადებული ნიმუშები ჰამბურგის ბორბალზე გამოცდამდე -----	64
ნახაზი 45.	ნარევის საერთო მახასიათებლების შედარება -----	65
ნახაზი 46.	ცდების ამსახველი ფოტომასალა -----	65
ნახაზი 47.	ჰამბურგის დანადგარზე გამოცდილი ნიმუშები -----	66
ნახაზი 48.	შეჭიდულობის მაჩვენებლების შედარება -----	67
ნახაზი 49.	Wessex-ის ხელსაწყო ჩაჭიდების კოეფიციენტის განსაზღვრისათვის -----	67
ნახაზი 50.	სამუხრუჭე მანძილების შედარება სხვადასხვა გარემო პირობებში -----	68
ნახაზი 51.	ჩაჭიდების შედეგები ტემპერატურულ დიაპაზონში ა/ბ-ის საფარისათვის -----	69
ნახაზი 52.	ნახ. 52. ჩაჭიდების შედეგები ტემპერატურულ დიაპაზონში „სლარი სილის“ შემთხვევაში -----	69
ნახაზი 53.	N1 ვარიანტში გამოყენებული სამოსის კონსტრუქცია -----	75

ნახაზი 54.	N2 ვარიანტში გამოყენებული სამოსის კონსტრუქცია	80
ნახაზი 55.	N3 ვარიანტში გამოყენებული სამოსის კონსტრუქცია	85
ნახაზი 56.	დეფორმაციის მოდულისა და ძვრის თანაფარდობა	90
ნახაზი 57.	დრეკადი ჩალუნვებისა და ღუნვის თანაფარდობა	90
ნახაზი 58.	ლოიტნერის ტესტის შედეგები	93
ნახაზი 59.	ლოიტნერის ტესტის მიმდინარეობა	93
ნახაზი 60.	ერთეული ფასების თანაფარდობა 1 მ ² -ზე ერთჯერადი დამუშავებისათვის	96
ნახაზი 61.	ერთეული ფასების თანაფარდობა 1 მ ² -ზე 10 წლიანი ვადის პერიოდში	97
ნახაზი 62.	საფარის საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუმჯობესება “სლარი სილით”	98

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა:

საავტომობილო გზების საექსპლუატაციო ვადების ძირითად განმსაზღვრელ ნაწილს საგზაო საფარის ხარისხი და მდგომარეობა წარმოადგენს. საფარის ხარისხია განმსაზღვრელი სწორედ ისეთი ძირითადი მახასიათებლებისა, როგორცაა: მოძრაობის სიჩქარე, შეჭიდულობა, უსაფრთხო გადაადგილება, ეკოლოგიურობა, სიმტკიცე, სისწორე და ა.შ.

საავტომობილო გზების საფარის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს საფარის ცვეთა, რადგან სწორედ ის თამაშობს მთავარ როლს საფარის საექსპლუატაციო ვადების განსაზღვრაში.

ბოლო წლებში საავტომობილო ტრანსპორტის ქსელის და ნაკადების ინტენსიურმა ზრდამ თანდათანობით დააჩქარა საფარების ცვეთის პროცესი. კაპიტალური რემონტის სიძვირის გამო კი ქვეყანაში აპრობირებულია საფარების პერიოდულად ზედაპირული დამუშავება, რაც საშუალებას გვაძლევს გავუხანგრძლივოთ მას ხანმედეგობა, საბოლოოდ მწყობრიდან გამოსვლამდე.

როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მსოფლიოს მასშტაბით მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე დაგროვილია მასალები, რაც წარმოადგენს საცვეთი ფენების შემადგენლობების პროექტირებას, ასევე მათ გაანგარიშებებს და შემდგომ საექსპლუატაციო ვადების ამაღლების საწყისებს.

ექსპერიმენტების საშუალებით დადგენილია, რომ საფარების ცვეთა დამოკიდებულია ფიზიკო-მექანიკურ და კლიმატურ ფაქტორებზე, ასევე მის შემადგენლობაში შემავალი მასალების ნაირსახეობასა და მახასიათებლებზე.

კვლევის საგანს წარმოადგენს:

- “სლარი სილის” ტიპის ნარევების ოპტიმალური შემადგენლობის კვლევა, მათ გამოსაყენებლად საავტომობილო გზების საცვეთ ფენაში, საექსპლუატაციო ვადების გასაზრდელად.

ნაშრომის მიზანი:

- დამუშავებულია ტექნოლოგია საცვეთი ფენის საექსპლუატაციო ვადების გაზრდისათვის, რომელიც აუმჯობესებს გზის ფუნქციონირებას, ახანგრძლივებს

საექსპლუატაციო დროს და ეფექტურად გამოიყენება როგორც ასფალტბეტონის, ისე ცემენტბეტონის საფარის ზედაპირზე;

სამეცნიერო სიახლე:

- საქართველოს საავტომობილო გზების ქსელზე ექსპერიმენტული დაკვირვებების საფუძველზე განხილული და გაანალიზებულია საგზაო საფარების ცვეთის მექანიზმი და მათი გამომწვევი ფაქტორები;

- სხვადასხვა კარიერში მოპოვებული ინერტული მასალების კვლევის საფუძველზე განსაზღვრულია „სლარი სილის“ ნარევის ოპტიმალური შემადგენლობა;

- დამუშავებულია ცვეთამედეგობის ამაღლების ტექნოლოგიური ღონისძიებები „სლარი სილის“ ნარევაში სხვადასხვა ჰიდრაულიკური შემკვრელების გამოყენების საფუძველზე;

- ათწლიანი გაანგარიშებით ეკონომიკური შედეგების შეჯერების საფუძველზე, მოძრაობის ინტენსივობის და საავტომობილო დატვირთვებიდან გამომდინარე შემუშავებულია „სლარი სილის“ საფარების ოპტიმალური სისქეები.

ეკოლოგიურ ეფექტს განაპირობებს:

- საცვეთი ფენის გაზრდილი ცვეთამედეგობის ხარჯზე არ ხდება საჭირო ფენილების მრავალჯერადი განახლება, რაც თავისთავად ამცირებს ეკოლოგიურად ისეთი დამაბინძურებელი მასალის გამოყენებას, როგორცაა ბიტუმი;

ეკონომიკურ ეფექტს განაპირობებს:

- მნიშვნელოვნად იზრდება ასფალტბეტონის მომსახურეობის და რემონტთაშორისი ვადები, რაც იძლევა შემადგენელი მასალების მნიშვნელოვან ეკონომიას, როგორც საფარის მოწყობის საწყის ეტაპზე, ასევე საექსპლუატაციო პერიოდში. იზრდება ავტომანქანების საბურავების შეჭიდულობის კოეფიციენტი, რაც იძლევა ტრანსპორტის სწრაფად და უსაფრთხოდ გადაადგილების გარანტიას.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება:

- შემოთავაზებული ტექნოლოგია გამოიყენება როგორც მაღალი, ისე დაბალი ინტენსივობის გზებზე, მათ შორის დასახლებებში. უპირატესობა მდგომარეობს იმაშიც, რომ გზის ზედაპირის რეგულარული (ყოველ 5-6 წელიწადში) დამუშავებით, გრძელვადიან პერსპექტივაში, გზის მოვლა გაცილებით იაფია, ვიდრე კაპიტალური რემონტი ყოველ 7-10 წელიწადში;

- დამუშავებულია და მიღებულია ოპტიმალური შემადგენლობა “სლარი სილის” ნარევისათვის.

სამუშაოს აპრობაცია:

- სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი მასალები მოხსენებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე „ინოვაციური ტექნოლოგიები ინჟინერიაში“ (2022წ) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაზე „ინოვაციური ტექნოლოგიები ინჟინერიაში“ (2023წ).

პუბლიკაციები:

- დისერტაციის მასალები გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო ნაშრომში, სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალში „მშენებლობა“.

დისერტაციის სტრუქტურა:

- სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს შესავალს, ორ თავს, დასკვნას, ლიტერატურის სიას 42 დასახელებით, 10 ცხრილს და 62 ნახაზს. კვლევის შედეგები გადმოცემულია 103 ნახეჭდ თაბახზე.

1. ლიტერატურული მიმოხილვა

1.1. საავტომობილო გზების ქსელის არსებული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

ქვეყანაში მოქმედი საავტომობილო ქსელის მრავალი კილომეტრი დაფარულია კაპიტალური საფარით, რომელიც უზრუნველყოფს მგზავრთა და ტვირთთა ნაკადის შეუფერხებელ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას. აღნიშნული ქსელის დიდი ნაწილი მოწყობილია ჯერ კიდევ ადრეულ წლებში, როდესაც საავტომობილო ქსელი ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. ბოლო წლებში ქვეყანაში ავტოპარკის ზრდამ და გაზრდილმა ნაკადებმა გამოიწვია უკვე არსებული სამოსის ფენილების თანდათან მწყობრიდან გამოსვლა.

დროთა განმავლობაში ყველაზე ხარისხიანი გზებიც კი განიცდიან ცვეთას და ეს გამოწვეულია არამარტო ტრანსპორტის მიერ გადაცემული დატვირთვებით, არამედ მასზე მოქმედი ფიზიკო-ქიმიური ფაქტორების ზეგავლენით. ამასთან ერთად აუცილებლად გასათვალისწინებელია ადგილმდებარეობის ტიპი, რადგანაც ერთიდაიგივე შემადგენლობის ნარევიტ დამზადებული ფენილები განსხვავებულ საექსპლუატაციო ვადებს გვიჩვენებენ სხვადასხვა გარემოში მუშაობისას [1].

სავტომობილო გზის კაპიტალური შეკეთება როგორც დაუსახლებელ, ისე დასახლებულ პუნქტში საკმაოდ შრომატევადი, ძვირი და რთული საქმიანობაა. გზის შეკეთება იწვევს მოძრაობის ჩაკეტვას როგორც ცალკეულ ზოლებზე, ისე მთლიან გზაზე, რაც თავის მხრივ აფერხებს ნაკადთა გადაადგილებას.

ქალაქის პირობებში გზის შეკეთება დამატებითი პრობლემებით წარმოგვიდგება, რადგან ხშირად კაპიტალურ შეკეთებას მოსდევს კომუნიკაციების დაზიანება, საჭიროა არსებული ბორდიურების დემონტაჟი, სხვადასხვა სახის დამატებითი სამუშაოები და ა.შ, რაც ერთობ ძვირადღირებული სამუშაოა.

საქართველოს სავტომობილო გზების ქსელის მდგომარეობაზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაზიანებების ყველაზე გავრცელებული სახეობები შემდეგია:

ა) საფარზე წარმოქმნილი ხშირი ბზარები - ე.წ. **“Alligator cracking”** – სახელწოდება მიღებული აქვს ნიანგის კანთან მსგავსების გამო. საფარის ზედაპირზე ხშირი

ბზარები ძირითადად გამოწვეულია ზედაპირის სისუსტით და ცუდი დრენირების სისტემით.



ნახ.1. საფარის ზედაპირის ხშირბადისებრი დაზიანება

- ა) შ6 ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის საავტომობილო გზა;
- ბ) შ32 თბილისი (ველი)-გაჩიანი-რუსთავის საავტომობილო გზა

ბ) გრძივი (ხაზობრივი) ბზარები – ღერძის ხაზის ან დაგების პარალელური ხაზები. შესაძლებელია იყოს საფარის გადაღლილობის შედეგი ან ტექნოლოგიური ნაკერების ცუდი კონსტრუირებით.



ნახ.2. გრძივი ბზარები საფარის ზედაპირზე

- ა) შ43 თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზა;
- ბ) შ2 საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზა

გ) განივი ბზარები – წარმოადგენს ცალკეულ ნაპრალებს, ცენტრალური ხაზის პერპენდიკულარულად განვითარებულს. განივი ბზარები არის გამოძახილი საფუძვლის ფენის დაზიანებისა, ყოველდღიური ტემპერატურული ციკლებითა და ასფალტდამგების (“ფინიშერი”) არასწორად შესრულებული სამუშაოსი.

ა)



ბ)



ნახ.3. განივი ბზარები საფარის ზედაპირზე

ა) ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;

ბ) შ17 ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზა

დ) “ბლოკური” ბზარები – გამოიყურება როგორც ოთხკუთხედის ფორმის. იწვევს არასწორად შერჩეული შემკვრელი ან ზედმეტად “გამომშრალი” ასფალტი.

ა)



ბ)




ნახ.4. ბლოკური ბზარები საფარის ზედაპირზე

ა) შ150 მცხეთა-შიომღვიმის მონასტერის საავტომობილო გზა;

ბ) შ1 ბათუმი(ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზა;

ე) ნაკვალევი - რომელიც გამოწვეულია საფარის ზედაპირზე მძიმე წონიანი ავტომობილების დატვირთვების შედეგად მიღებული დეფორმაციებით.



ნახ.5. ნაკვალევი საფარის ზედაპირზე

ა) შ15 ქუთაისი(წყალტუბო)-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზა;

ბ) ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა

ვ) ორმოები საფარის ზედაპირზე



ნახ.6. ორმოები საფარის ზედაპირზე

ა) შ84 ზუგდიდი-ჯიხაშკარი-ჩხოროწყუს საავტომობილო გზა;

ბ) შ6 ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის საავტომობილო გზა

ზემოთ აღნიშნული ზედაპირული ბზარების ძირითადი ნაწილის გამომწვევი მიზეზი არის გარემო ფაქტორები, რადგან ბიტუმი გარემო ფაქტორების უწყვეტი

ციკლის შემდეგ კარგავს საწყის თვისებებს და სკდება. დასკდომას მოჰყვება ბზარების წარმოქმნა და ამის შემდეგ ხდება წყლის შეღწევა სამოსში. ამასთან ერთად საფარზე დამატებით გადაცემული დატვირთვები კიდევ უფრო აუარესებს საფარის მდგომარეობას.

საცვეთი ფენის მოწყობა, რომლის მთავარი მიზანიც საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესებაა, ეფექტურია იმ შემთხვევაში თუ ამ დაზიანებების გამომწვევი მიზეზი არ არის საფუძვლის ფენის დაზიანება.

1.2. საცვეთი ფენის არსი და მისი როლი გზების საექსპლუატაციო თვისებების გაუმჯობესებაში

იმისათვის, რომ გავახანგრძლივოთ საფარის სამსახურის დრო და უზრუნველვყოთ მისი დაცვა ზედაპირული ფაქტორების ზემოქმედებისაგან, საჭიროა მთელი რიგი სამუშაოები. საცვეთი ფენის აღდგენა, დამცავი ფენების ან ზედაპირის “ხორკლიანი” ფენის მოწყობა შედარებით ნაკლები ხარჯებით (ჩვეულებრივ და კაპიტალურ რემონტთან შედარებით) უნარჩუნებს საფარს სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მაჩვენებლებს და იცავს მას.

ასფალტბეტონის საფარის დროულად დაგეგმილი და შესრულებული პროფილაქტიკური სამუშაოებით, სანამ იგი ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მისი ექსპლუატაციის ვადა შეიძლება გახანგრძლივდეს კიდევ რამოდენიმე წლით.

ზედა ფენის პერიოდული განახლება “უფრო ხილდება” ასფალტს და რამდენადმე ეკონომიურია. საცვეთი ფენის მოწყობა საავტომობილო გზებზე ითვალისწინებს არსებულ საგზაო სამოსზე ახალი ფენის გადაკვრას, რაც მზარდი სატრანსპორტო ნაკადების მატების ფარგლებში გარდაუვალი პროცესია, რადგანაც სამოსების კაპიტალურად შეკეთება საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმიანობაა. ზედაპირული დამუშავების ფარგლებში სასურველია, რომ მოძრაობა დიდი ხნით არ შეფერხდეს, ხოლო ტექნოლოგიამ იმუშაოს ხანგრძლივად, ისე რომ მინიმალურად დაკარგოს საექსპლუატაციო თვისებები.

როგორც ავლნიშნეთ ცვეთა ბევრი ფაქტორების კომბინირებული მოქმედების შედეგია. ავტომობილის ბორბლისა და საფარის კონტაქტის ფართობზე

წარმოიქმნება დეფორმაციული მდგომარეობა, ჰორიზონტალურ-ვერტიკალური ძალების გადაცემის შედეგად.

ცვეთა ჰორიზონტალურ უბნებზე წარმოგვიდგება გორვითი ხახუნის გამო, თუმცა მაქსიმალური ცვეთა ძირითადად გამოწვეულია დამუხრუჭების შედეგად, რის შემდეგაც საფარი უფრო მეტად ცვდება დიდი დახრილობის მქონე უბნებზე [2].

საცვეთი ფენის მოწყობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საფარის შეჭიდულობის გაზრდა. შეჭიდულობა დამოკიდებულია როგორც საფარის მდგომარეობაზე, ასევე კლიმატურ ფაქტორებზე, რადგან გაზრდილი ატმოსფერული ნალექების დროს გაცვეთილი საფარის შემთხვევაში საგანგაშოდ მცირდება ავტომობილის თვლის საგზაო სამოსთან შეჭიდულობის კოეფიციენტი, რაც ზრდის ავარიების რისკს.

ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად და იმისათვის რომ დაცული იქნას საფარის ფენები, მსოფლიოს მასშტაბით გზების სპეციალისტები დადგენენ ამოცანის წინაშე, შექმნილიყო ახალი ტიპის დამცავი ფენები, გაუმჯობესებული თვისებებით.

საგზაო სამოსის ზედა ფენა, რომელიც უზრუნველყოფს ავტომობილის თვლისა და სხვადასხვა კლიმატური ფაქტორების ზეგავლენას, წარმოადგენს საცვეთ ფენას. იმ შემთხვევაში, თუ გზაზე არ არსებობს დამცავი ფენა, მის ნაცვლად აღნიშნულ ფუნქციას თავის თავზე იღებს ზედა ფენა. იგი ექსპლუატაციის დროს დეფექტების ლიკვიდაციისათვის საჭიროებს აღდგენას.

გზის რემონტის დროს ხდება როგორც სავალი ნაწილის, ისე დანარჩენი კონსტრუქციული ფენების აღდგენა, მათ შორის გვერდულების და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის, ხოლო რაც შეეხება საცვეთი ფენის მოწყობას, ამ დროს ხდება მხოლოდ ზედა ფენის აღდგენა. ტექნოლოგიურად საცვეთი ფენისა და საგზაო საფარის სარემონტო სამუშაოები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და იგი მოიცავს მოფრეზვასა და ზედაპირული დამუშავების ფენის მოწყობას. ამ პროცესში გამოიყენება საფრეზი მანქანები, ასფალტის დამგები, გუდრონატორი და დამტკეპნები.

მსოფლიოს მასშტაბით მიღებული გამოცდილების მიხედვით, ინგლისელმა სპეციალისტებმა შემოგვთავაზეს ე.წ. „ქვის ჯავშანის“ გამოყენება, რაც გულისხმობს არსებულ ნარევი მტკიცე ქანების დამუშავებისაგან მიღებული მასალის ჩასოლვას[2];

შვედი მეცნიერებისაგან ალტერნატივად შემოთავაზებულია შემავსებლის რაოდენობის გაზრდა ასფალტის ნარევიში [2];

რუსეთის მასშტაბით ჩატარებულ კვლევებშიც შემოთავაზებულია სხმული ტიპის ასფალტბეტონები და ღორღის რაოდენობის ზრდა საცვეთ ფენაში. მათ ასევე ააშენეს საცდელი უბნები შემოთავაზებული ნარევებით, ხოლო “სლარი სილის” ტიპის ნარევებით უკვე მოწყობილია ძირითადი საავტომობილო ქსელის მრავალი კილომეტრი [2].

გერმანელმა მკვლევარებმა იგივეს აღმოსაფხვრელად გამოიყენეს სხმული ასფალტბეტონები და გაზარდეს მსხვილი შემავსებლის ზომა, რის ანალოგებიც ასევე შემოთავაზებულია შვეიცარიელი, იტალიელი, ნორვეგიელი და დანიელი მეცნიერებისაგან [2].

საგზაო მეთოდური დოკუმენტაციიდან და ტერმინოლოგიიდან გამომდინარე საავტომობილო გზის ხორკლიანი ზედაპირი არის ის ფენა, რომელიც მიიღება ღორღის მარცვლების და მათ შორის არსებული სიცარიელების მონაცვლეობით. ავტომობილის თვლისა და საგზაო საფარის კონტაქტის ადგილებში წარმოიშობილ მაკრო და მიკრო ხორკლიანობა და ხელოვნურად მიღებულ ამონაბურცვებს აერთიანებს საფარის ხორკლიანობა. ასეთი ფენის მოწყობა უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოების და საგზაო სამოსის სიმტკიცის შენარჩუნებას. ამ დროს საფარის კონსტრუქციული ფენა ეწყობა სხვადასხვა სახის ფიბრო ბოჭკოების გამოყენებით, შემკვრელის სახით ხდება ბიტუმის მოსხმა და შემდეგ ბიტუმის გაშლა.

პარამეტრების შერჩევა ხორციელდება სამოსის სახეობისა და შესაკეთებელი გზის მონაკვეთის მდებარეობის მიხედვით [3].

თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების შედეგად ცნობილია ცვეთის შეფასების რამოდენიმე ხერხი:

1) პნევმატური ბორბლის გამოყენება საველე პრაქტიკაში, თუმცა საკმაოდ რთულად შესასრულებელი და არაზუსტი შედეგებით;

2) ლაბორატორიულად გამოსაცდელად ბ. ლადიგინის დანადგარი, რომელიც იწვევს ხახუნის სრიალის იმიტაციას. უარყოფითი მხარეა მხოლოდ ერთი კომპონენტის შეფასება [4].

3) მაკევესკის ინჟინერთა ინსტიტუტის შექმნილი ხელსაწყო, რომელიც იმიტირებული პნევმო-საბურავით მაქსიმალურად უახლოვდება ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ბორბალი-ასფალტის ურთიერთქმედებას. უარყოფითი მხარეა ბორბლის ერთ სიბრტყეში გამოცდა [2].

4) პროფესორ ვ. გოგლიძის მიერ საავტომობილო გზების კათედრაზე შემუშავებული ხელსაწყო, რომლის გამოიყენება ასფალტბეტონის ნიმუშის ცვეთაზე გამოსაცდელად, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გამოიცადოს ნიმუში როგორც გორვის, ასევე სრიალის ხახუნზე ერთდროულად [2].

5) ცვეთის შეფასება სავლელ პირობებში ცვეთის მარკერის (რეპერის) გამოყენებით - იღებენ ნიშნულს ელ. ტაქეომეტრით და აკვირდებიან მის ცვლილებას საწყის მაჩვენებელთან შედარებით. მეთოდის ზუსტად განხორციელებას და შეფასებას ზოგჯერ წლები სჭირდება, რაც თავის მხრივ მეთოდის უარყოფით მხარეს წარმოადგენს [2, 4].

6) ცვეთის სიდიდის გაზომვა ულტრა ბგერებით; ამავე მეთოდს ეკუთვნის გაზომვები რადიოაქტიური იზოტოპების ან/და ელექტრომაგნიტური ტალღების დახმარებით [2, 4].

7) საფარის ცვეთის განსაზღვრა ნოვიკოვის და ვ. გოგლიძის შემუშავებული რეპერის მეთოდებით, რომელიც 0,01 მმ-ის სიზუსტით საზღვრავს ცვეთას.

8) თანამედროვე მეთოდებით ცვეთის განსაზღვრის ერთ-ერთი ალტერნატიული გზაა ლაბორატორიულ პირობებში ცდის ჩატარება ჰამბურგის ბორბალით. დანადგარში თავსდება ნიმუში და ბორბლის დახმარებით ხდება ცვეთის იმიტაცია, შესაბამისი გავლების რაოდენობაზე.

ქვეყანაში არსებული საავტომობილო გზების ქსელის საფარების შეკეთების ფარგლებში, მრავალწლიანი გამოცდილებით მიღებულია რომ საფარის საცვეთი ფენის საექსპლუატაციო თვისებების გაზრდა ზედაპირული დამუშავების გზით საკმაოდ შრომატევადი და ფინანსურად ძვირი საქმიანობაა. ერთმაგი ზედაპირული დამუშავების შემთხვევაში, რომლის სისქე 2 სმ-ს შეადგენს, სამსახურის ვადა 1-2 წელია, ხოლო ორმაგი ზედაპირული დამუშავების შემთხვევაში, როდესაც სისქე 4 სმ-მდეა გაზრდილი, სამსახურის ვადა 3-4 წლით შემოიფარგლება.

აღნიშნული ტენდენციიდან გამომდინარე, ალტერნატიულ გზას საფარის საცვეთი ფენის საექსპლუატაციო თვისებების გასაუმჯობესებლად წარმოადგენს

“სლარი სილი” და “სლარი სილის” ტიპის ნარევები, რომელთა მუშაობის პროცესში დაკვირვებებმა გვაჩვენა, რომ მოცემული ტიპის ნარევების საექსპლუატაციო ვადა შეადგენს 8-10 წელს, ხშირად დამატებითი შეკეთებების გარეშე.

1.3. “სლარი სილის” ტიპის ნარევები და მათი გამოყენების სფეროები

იმისათვის რომ შევინარჩუნოთ საფარის როგორც ახალი, ისე აღდგენილი საექსპლუატაციო თვისებები, იყენებენ ემულსია-მინერალურ ნარევებს. ასეთი ნარევები მოიცავენ: ღორღს, რომელიც ქმნის საფარის სტრუქტურულ ჩონჩხს, სატრანსპორტო დატვირთვების მისაღებად; შემკვრელი, წარმოდგენილი ბიტუმის ემულსიით (ზოგჯერ მოდიფიცირებულს პოლიმერებით); ზოგჯერ წვრილდისპერსიული მინერალური შემავსებლებით ან სპეციალური დანამატებით, რომლებიც არეგულირებენ შეკვრის ვადებს და განსაზღვრავენ ფენის ფორმირების სიჩქარეს. სხვადასხვა სახის სამუშაოებისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახეობის ნარევები [5].

Slurry seal (“სლარი სილი”) – ტერმინი უკვე ფართოდ გამოიყენება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასევე მის აღსანიშნავად იყენებენ მსგავს ტერმინს: “დამცავი საცვეთი ფენის მოწყობა ემულსია-მინერალური ნარევეთ”.

“სლარი სილი” წარმოადგენს ცივ ნარევს – ღორღის, ბიტუმის ემულსიის, წყლის, შემავსებლის/შემკვრელის (პორტლანდცემენტი ან სხვა მსგავსი თვისებების მქონე მასალა) და ქიმიურ დანამატებს. შემადგენელი კომპონენტების როლი შემდეგნაირია: ბიტუმი შეკრავს ნარევს და ხდის მას პლასტიურს, ხანმედეგს და აუმჯობესებს ადჰეზიურობას; ღორღი და მინერალური დანამატები ანიჭებენ მედეგობას დატვირთვებისადმი; ქიმიური დანამატები არეგულირებენ ნარევის “ფორმირების” სიჩქარეს გზაზე [6].

ტექნოლოგია „სლარი სილი” მოიცავს 3 ტიპს:

- ტიპი I - ესაა ძირითად მასალად მცირე ზომის ღორღის გამოყენება. ასეთ საფარს იყენებენ ისეთ ადგილებში, სადაც მცირე ცვეთაა, მაგ: ავტოსადგომები და შესასვლელები [7].
- ტიპი II - ესაა „სლარის” დატანის ყველაზე გავრცელებული ვარიანტი. მისი

დამზადებისას იყენებენ საშუალო ზომის ღორღს, რაც საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ კონსესუსს სიმტკიცესა და ღირებულებას შორის. ასეთი ტიპის ასფალტს იყენებენ საშუალო ინტენსივობის საავტომობილო გზებზე [8].

- ტიპი III - ესაა პანაცეა მსხვილი საგზაო რღვევებისაგან. ძალზედ ფანტასტიკური განცხადებაა, მაგრამ ხშირ შემთხვევებში, ასეც ხდება. მისი მომზადებისას იყენებენ შედარებით მსხვილ ღორღს, რაც საშუალებას გვაძლევს „ამოვავსოთ“ გზაზე ყველაზე ფართე ხვრელებიც კი. ასეთი საფარი ხელს უშლის მოცურებას ინტენსიური მოძრაობისას. მე-3 ტიპი „სლარის“ პლიუსი არის ის, რომ სრიალი თითქმის გამორიცხულია ზედაპირის წყლით დაფარვის დროსაც კი [7].

ადგილზე კომპონენტების შერევა ხდება სპეციალურ დანადგარში, რომლის საშუალებითაც ხდება გზაზე ნარევის დატანა, იგი შესაძლებელია იყოს თვითმავალი ან დამონტაჟდეს მისაბმელზე. დანადგარში კომპონენტების შერევისათვის საჭიროა 10 წამი ან ცოტა ნაკლები. გარემო პირობებიდან გამომდინარე ნარევის ფორმირებისათვის (ქიმიური დანამატების გამოყენებისას) საჭიროა 30 წთ, ხოლო ნელშეკვრადი ნარევის დროს 3-დან 4 სთ-მდე. სლარი სილის ფენის სისქე დამოკიდებულია მასში შემავალი მსხვილი ფრაქციის ზომაზე. იგი წარმოადგენს საფარის როგორც საცვეთ, ისე დამცავ ფენას [7].

“სლარი სილი” გვეხმარება პერიოდულად განვაახლოთ საფარის ზედაპირი, აღვადგინოთ მისი საექსპლუატაციო თვისებები, მას შემდეგ, რაც ტრანსპორტის მოძრაობა და გარემო ფაქტორები გამოიწვევს საფარის ზედა ფენის რღვევას. საფარის ქვედა ფენა(ები) დაცულია ჰაერით გამოწვეული ჟანგვისა და მტვრისაგან, ზედაპირზე კი მიიღება ლამაზი ხორკლიანი შავი ფენა.

“სლარი სილი” ყველაზე გავრცელებულია შიდაკვარტალურ გზებზე, ქალაქის ქუჩებსა და ავტოსადგომებზე. “სლარი სილი”, მოდიფიცირებული ლატექსის დანამატით, ინარჩუნებს ფორმას მოსახვევებში და მკვეთრი დამუხრუჭებისას.

“სლარი სილი” სხვა ზედაპირული დამუშავებისაგან განსხვავებით გზაზე დაიგება ცივ მდგომარეობაში, ბიტუმის გამათხევადებლად წარმოდგენილია წყალი. ეს ხდის საფარს ეკოლოგიურად სუფთას და ზოგავს ენერგიას ბიტუმის გასაცხელებლად. „სლარი სილში“ არსებული ქიმიური შემადგენლობები მათ აძლევს მრავალფუნქციური ნარევის თვისებებს სხვადასხვა ტიპის საფარისა და გარემო პირობებისათვის.

“სლარი სილის” ნარევი გზაზე დაიტანება თხელ ფენად. მომზადება და დაგება იწარმოება ერთი დანადგარით. საფარი სლარი შეიძლება დაიგოს ერთსადაიმავე გზაზე ყოველ 3-6 წელში ბორდიურის ქვის შეუცვლელად.

საფარი “სლარი სილი” იყენებს ღორღს ძალზე წვრილი ფრაქციიდან (თითქმის მტვროვანი) ყველაზე მსხვილ 10-12 მმ-მდე. ქვის მასალის ასეთი მარცვლოვანი შემადგენლობა წარმოქმნის იდეალურ პირობებს მასზე ემულსიის (ემულგირებული ბიტუმის) შემოკვრისათვის, ხოლო დარჩენილი ფორები ივსება წვრილი ნაწილაკების დახმარებით. შედეგი – გზის ერთგვაროვანი ზედაპირი შესანიშნავი მოცურებაშედეგი და შეჭიდულობის გაზრდილი თვისებებით. ბიტუმის მაღალი შემცველობა სლარის ნარევებში იძლევა მუქ შავ ფერს, რის ფონზეც საგზაო მონიშვნები უკეთ ჩანს [8].

“სლარი სილი” შესაძლებელია გამოვიყენოთ პროფილაქტიკური მიზნებისათვის ან განვაახლოთ დაზიანებული საფარი. “სლარი სილის” გამოყენება მიზანშეუწონელია ფართო აქტიური ნაპრალების შესავსებად. ნაპრალები, რომლებიც ზედაპირზე გვხვდება არაუმეტეს 3 მმ სიგანით, შესაძლებელია დაიფაროს “სლარი სილის” ნარევით.

საფარი “სლარი სილი” აუცილებელია, როდესაც დაზიანებული ზედა ფენა მხოლოდ იწყებს რღვევას, ჩნდება ცვეთის ნაპრალები და წყალი იწყებს საფუძველში ჟონვას. გზებზე სადაც საფუძველი ფაქტიურად აღარაა, ან დაწყებულია მისი აქტიური რღვევა, “სლარი სილის” გამოყენება მიზანშეუწონელია. გზებზე, სადაც სლარი გამოიყენება როგორც ერთადერთი დამცავი ფენა, აუცილებელია მყარი საფუძველი.


“სლარი სილი” კარგია საფარის გასაახლებლად.

სლარის ნარევების გამოყენება არ შეიძლება სანამ არ აღდგება სავალი ნაწილის საფუძველი.

ზემოთ აღნიშნული ტიპის საფარების მოწყობის ტექნოლოგიური სქემა საკმაოდ უბრალოა.

პირველ რიგში აუცილებელია იმ ტერიტორიასთან ახლოს, სადაც უნდა მოხდეს საფარის ფენის აღდგენა, არაუმეტეს 5 კმ-ის მანძილზე დავასაწყობოთ ის მასალები, რაც საჭიროა ნარევის მისაღებად.

დაგების ტექნოლოგია მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ სქემებზე [9].



ნახ.7. “სლარი სილის” დამგები მანქანა-დანადგარი

1. წყლის რეზერვუარი; 2.ქვიშის შესანახი რეზერვუარი; 3.მინერალური ფხვნილის რეზერვუარი; 4. დანამატის დოზის სარეგულირო; 5.წყლისა და დანამატების მიმწოდებელი; 6.ემულსიის მიმწოდებელი; 7.შემრევი;
- 8.გამფრქვევი; 9.კონვეიერი; 10. დანამატების რეზერვუარი; 11.

ბიტუმის/ემულსიის რეზერვუარი

დაგება მიმდინარეობს შემდეგი ტექნოლოგიური სქემის მიხედვით:

1. სამუშაო მონაკვეთი უნდა გადაიკეტოს და შემოიფარგლოს ტიპური სქემის მიხედვით.
2. ყველანაირი ნაპრალი და ნაკერი საფარზე უნდა დამუშავდეს სარემონტო მასალით და უნდა იყოს ჰერმეტიზებული / ან შესრულდეს ორმოული შეკეთება.
3. შემდგომ სარწყავ-სარეცხი მანქანის მეშვეობით ზედაპირი კარგად უნდა გადაირეცხოს მტვრის, ჭუჭყის და ზეთოვანი ნარჩენებისაგან ;
4. შემრევ - გამანაწილებელ მანქანა-დანადგარს ბაზაზე ფრონტალური დამტვირთველის და ბიტუმშიდის მეშვეობით მიეწოდება მასალები შესაბამის რეზერვუარებში (1,2,3,10,11). შემდეგ დამგები შნეკის (7) საშუალებით ერთმანეთში ურევს მიწოდებულ მასალებს კონვეიერში (9), რომელსაც ასევე ემატება სხვადასხვა


დანამატი (4.5.6) და ახდენს დაშლას ასფალტის ზედაპირზე (8). გაშლის ზომები დამოკიდებულია დამგების სახეობაზე და 2-6 მ-ის ფარგლებში იცვლება. გაშლასთან ერთად დანადგარს მიჰყვება 10 ტ წონის მქონე გლუვვალციანი პნევმატური სატკეპნი, რომელიც შეამკვრივებს ნარევს.

ერთი ციკლი, რაც საჭიროა ნარევის გასაშლელად აღნიშნული მანქანა-დანადგარით, შეადგენს:

- მოწყობილობების მომზადება დასატვირთად – 0.15 სთ ;
- ინერტული მასალებითა და ბიტუმით დატვირთვა – 0.13 სთ ;
- წყლით შევსება – 0.07 სთ ;
- დატვირთვა დანამატებით – 0.07 სთ ;
- მოწყობილობის გადაყვანა დაგების ადგილას – 0.15 სთ ;
- სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა – 0.12 სთ ;
- ნარევის დაგება – 0.13 სთ.

საშუალოდ 100 მ² საფარის მოსაწყობად საჭირო ციკლის დრო შეადგენს 0,154 სთ-ს.

ა)



ბ)



ნახ.8. “სლარი სილის” საფარზე დატანის მაგალითები

ა) რუსეთი, იაკუტიის ოლქი; ბ) ამერიკის შეერთებული შტატები

“სლარი სილი” და მისი ანალოგი ფენილები გამოიყენება საფარის სხვადასხვა ტიპზე:

- ასფალტბეტონი, ბეტონი, საფარის შეკეთება
- გზები არამყარი საფარით
- ფერადი საფარი

მათი გამოყენება ასევე შესაძლებელია შემდეგ სამუშაოებში:

- ფენილის რემონტი ან ახალი საფარის მოწყობა
- ურბანულ საგზაო ქსელში გამოყენება
- როგორც საერთაშორისო და ადგილობრივ მაგისტრალებზე, ასევე აეროდრომის ზოლებზე
- საავარიო გაჩერების ზოლებზე
- ველოსიპედის ბილიკებსა და პარკინგებზე
- გამოიყენება როგორც შუალედური ფენა, ასევე მაღალი ავარიის მაჩვენებლიანი უბნების შესაკეთებლად მსხვილი მარცვლებით
- ფერადი საფარი ქალაქის პირობებში, პიგმენტების დამატებით

ემულსია-მინერალური ნარევის დაგების პროცესში ფენები ერთმანეთს უნდა ფარავდეს არაუმეტეს 15 სმ, ხოლო ბიტუმის ემულსიის ტემპერატურა ნარევის დაგებისას უნდა იყოს არაუმეტეს 45° [10].

ნარევის დაგება დაუშვებელია, თუ:

- წვიმს;
- მოსალოდნელია ტემპერატურის დაცემა 0°-მდე და ქვემოთ სამუშაოების მიმდინარეობისას ან/და დასრულების შემდეგ უახლოესი 24 საათის განმავლობაში.

მოძრაობის გასახსნელად მაქსიმალური დრო დგინდება ლაბორატორიულად, ნარევის შემადგენლობიდან გამომდინარე. საველე პირობებში შემოწმება შესაძლებელია შემდეგნაირად – საფარზე მყარი საგნის დაცემისას არ უნდა რჩებოდეს კვალი; ასევე საგანზე არ უნდა დარჩეს ემულსიის ან ბიტუმის კვალი.

მოძრაობის გახსნა ზოლზე სიჩქარის შეზღუდვით 40 კმ/სთ-ს შეადგენს, საფარის ფორმირების დროისაგან დამოუკიდებლად, საორიენტაციოდ 1 სთ-დან 1 დღე-ღამემდე შუალედით [10].

სლარი სილს გააჩნია შავი ფერი და ერთგვაროვანი ზედაპირი. ეს კი ქმნის ლამაზ და ესთეტიურ სახეს, რაც უმეტესად გამოიყენება სავაჭრო ცენტრების სადგომებში, პარკირების და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.



ნახ.9. საფარის აღდგენა სლარი ნარევებით

ა) სლარის გამოყენებით აღდგენილი ნაკვალევი რ22 „კასპია“ გზაზე, რუსეთის ფედერაცია

ბ) აშშ, ადგილობრივი ქუჩის მოწყობა ნევადას შტატში

მიუხედავად იმისა, რომ თემა შეეხება კონკრეტულად სლარი სილს, ქვემოთ მოყვანილია “სლარი სილის” რამოდენიმე სახეობა და მათი გამოყენების არეალი მსოფლიოს მასშტაბით.

ა) მიკროსურფეისინგი – ესაა “სლარი სილის” სპეციალიზებული სწრაფი ნარევი, რომელიც შეიცავს დამტვრეულ ღორღს, პოლიმერულ ბიტუმის ემულსიას და ქიმიურ დანამატებს. დაგება ხორციელდება “სლარი სილის” დამგები მანქანებით ან უნივერსალური დანადგარებით. მიკროსურფეისინგის დანადგარებს აქვთ სპეციალური შნეკები “სწრაფფორმირებადი” ნარევებისათვის, პლიუს დოზირებული სისტემა ქიმიური დანამატებისათვის.

მიკროსურფეისინგი არის ზედაპირული საფარი ან საცვეთი ფენა, მაგრამ უფრო დიდი სისქით, რომელშიც პოლიმერმოდფიცირებული ემულსია და ემულგატორები აჩქარებენ ნარევის სიმტკიცეს. ასეთი ემულსიები ხასიათდებიან ნარევის სწრაფი ფორმირებით გზებზე და მოძრაობის სწრაფი გახსნით. ნარევის კომპონენტების შერევის დრო დანადგარში წთ-ზე ნაკლებია. ქიმიური რეაქციის შემდეგ ნარევი ფორმირდება 30-60 წუთში, რაც საშუალებას გვაძლევს გავხსნათ მოძრაობა ოპერატიულად რემონტის დასრულებისთანავე. ტენის გამოდევნა ნარევიდან ხორციელდება ქიმიური პროცესების, ტრანსპორტის თვლების ან სატკეპნების საშუალებით. საბოლოოდ, ტენის ნაწილაკები გამოიდევენებიან 2 კვირის განმავლობაში.

მიკროსურფეისინგში გამოყენებული ღორღი უფრო მაღალი ხარისხისაა; ნარევი ძალზედ სწრაფად მყარდება; ფორმირებული ნარევის კოჰეზია უფრო მაღალია, ვიდრე “სლარი სილის”; პლიუს ასეთი საფარი უფრო სქელია.

ასეთი კომპონენტების გამო მს გამოიყენება: ავტომაგისტრალებზე მაღალი გამტარუნარიანობით; გზების მშენებლობისას ავტოტრანსპორტის უწყვეტი მოძრაობის რეჟიმში; გზების შეკეთებისას ღამით; გზის ზედაპირის რელიეფის გამოსასწორებლად. თუ ნაკვალევი არ აჭარბებს 13 მმ-ს (სიღრმით), მაშინ მისი გამოსწორება შესაძლებელია მიკროსურფეისინგით ჩვეულებრივი დამგები ყუთით, უფრო ღრმა ნაკვალევის შემთხვევაში იყენებენ სპეციალურ დამგებს [11].



ნახ.10. მიკროსურფეისინგის ფენით მოწყობილი საფარი

ბ) ჩიპ სილი - ასეთი ტიპის საფარი იგება ძირითად ფენაზე როგორც ასფალტის ფენა, შემდეგ მასზე იყრება შესაბამისი ფრაქციის ღორღი და იტკეპნება. ღორღი შეიძლება დაიყაროს ერთ ან რამოდენიმე ფენად, საჭიროებიდან გამომდინარე. “ჩიპ სილი”-ს თვისებები: ამაღლებს უსაფრთხოების კოეფიციენტს გაზრდილი შეჭიდულობის ხარჯზე, ქმნის წყალმედეგ ფენას, ამაღლებს არსებული საფარის ხანმედეგობას, აღმოფხვრის მცირე ზომის ნაპრალებს და დეფექტებს ზედაპირზე, აქვს დაბალი ღირებულება [12].



ნახ.11. ჩიპ სილით მოწყობილი საფარი

გ) **ტონფრიზი** - ფენა წარმოადგენს მცირე სისქის ცვეთამდე ლორღოვან-მასტიკური ასფალტბეტონის ცხელ ნარევს მოდიფიცირებული ბიტუმის შემკვრელით. აღნიშნული საფარი ხასიათდება შემდეგით: საფარის მაღალი შეჭიდულობა, ნაკლები წყლის გაშხეფება ავტომობილის თვლებიდან, დაბალი ხმაურიანობა, მძღოლებისათვის მხედველობის გაუმჯობესება, კარგი ცვეთამდეგობით მოდიფიცირებული ბიტუმებისა და მაღალი ხარისხის ლორღის შემცველობის ხარჯზე, საფარის მაღალი ხარისხითა და სარემონტო სამუშაოების დაბალი ღირებულებით [13].



ნახ.12. ტონფრიზით მოწყობილი საფარი

დ) **სპრეი ჯეტ** - საფარის საცვეთი ან დამცავი ფენა. ესაა სპეციფიური ფენა, რომელიც იგება ფინიშერით “Wirtgen Vogele 1800 S” , რომელსაც შეუძლია დააგოს ძალზედ

თხელი ფენა სისქით 2-2.5 სმ. ეს მეთოდი ამცირებს სარემონტო სამუშაოების თვითღირებულებას და ინარჩუნებს საფარის მაღალ საექსპლუატაციო თვისებებს [12].



ნახ.13. სპრეი ჯეტით მოწყობილი საფარი

ე) ფიბ სილი - ზედაპირული დამუშავება შესაძლებელია შესრულდეს საფარის ტიპით ფიბ-სილი. ფიბ-სილი წარმოადგენს წყალშეუღწევად ფენას, რომელიც ეწყობა ბიტუმის ემულსიით, მინაბოჭკოთი და მასზე საბოლოოდ ღორღის გაშლით. ემულსიის ფენაში მინაბოჭკოს დამატების მიზანს წარმოადგენს ზედაპირის არმირება და ამის ხარჯზე მისი სამსახურის ვადის გაზრდა. ასეთი დამუშავება მიღებულია ნაპრალიანობის გავრცელების აღმოსაფხვრელად. ბიტუმის ემულსიის და მინაბოჭკოს სინქრონულად მოსაწყობად გამოიყენება მანქანები – ფიბერსეილერები (Fibersealer).

